# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 449

24 სექტემბერი
"___" _____ 2021 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №3-ის მიმდებარედ არსებული 50.66 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.12.003.254.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №3-ის მიმდებარედ არსებული 50.66 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.12.003.254.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 15 სექტემბრის №21.1273.1433 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №3-ის მიმდებარედ, პირველ სართულზე არსებული 50.66 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.12.003.254.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ირინე თუთბერიძისთვის (პ/ნ. 53001018220) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთის თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**